

საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფცია

1. შესავალი

დროში რომელშიც ჩვენ ვცხოვროთ განსაკუთრებულად დიდი როლი ენიჭება ინფორმაციის გავრცელების ტექნოლოგიებს, დღეს ტელევიზიები გადავიდნენ ცხოვრების სრულიად ახალ ეტაპზე ადამიანებს შეუძლიათ საკუთარ სახლებში, საკუთარ ოთახებში შექმნან სტუდიები, აწარმოონ პირდაპირი ეთერები, ჰქონდეთ საკუთარი გადაცემები, ჰყავდეთ სტუმრები და იყვნენ ტოპ რეიტინგულები. ამ ყველაფერზე თანამედროვეობისა პასუხი გახლავთ ძალიან მარტივი, ეს შესაძლებელია მინიმალური სახსრებით და ბიუჯეტის გარეშე. ძნელი წარმოსადგენი არაა თუ რამდენად პრივილეგირებული ჩანს საზოგადოებრივი მაუწყებელი მათ ფონზე, იმ პოტენციალის გათვალისწინებით როდესაც იგი ერთდროულად ფლობს, ისეთ პლატფორმებს როგორებიცაა ტელევიზია და რადიო, თავისი და გავრცელების არეალით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ბიუჯეტით. ასეთი უპირატესობის დროს ტელევიზიას არ უნდა რჩებოდეს შანსი თუნდაც ხანდახან იყოს არასაინტერესო და მოსაწყენი. მარტივად და პირდაპირ რომ გითხრათ ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მენეჯმენტს და მრჩეველთა საბჭოს, თუ მაუწყებელი წარუმატებელია პრობლემები მმართველ რგოლში და საკუთარ თავებში უნდა ვეძებოთ. მცირე რემარკით შემოფირაგლები სულ ეხლახანს ცნობილი გახდა ამერიკელი გამომგონებლის და მეცნიერის ელონ მასკის პროექტის შესახებ რომელიც ინტერნეტის კოსმოსში გავრცელებას გულისხმობს, ეს კი უკვე ფაქტობრივად ტელევიზიების და რადიოს კოსმოსში მაუწყებლობის ტოლფასია. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მომავალში. სწორედ ასეთი მასშტაბური კონკურენციის პირობებში მოუწევს მაუწყებელს ცხოვრება და არსებობა, სადაც არაპროფესიონალიზმის ადგილი არ არის.

2. მიზანი

მიმაჩნია რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ორიენტირებული უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისკენ, მისი გადაცემები, სარედაქციო პოლიტიკა უნდა იყოს მძლავრი მექანიზმი საზოგადოებაში არსებული პრობლემებისა და ინტერესების წარმოსაჩენად. ღირებულებებზე დაფუძნებული ტელევიზია - სწორედ ეს მიდგომაა ჩემი მთავარი გზავნილი, რას ნიშნავს ღირებულებებზე დაფუძნებული მაუწყებლობა, ეს ნიშნავს რომ მის მთავარ ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს ადამიანი, მისი სათქმელის მიტანა ადრესატამდე და მისი კეთილდღეობა. სწორედ ეს მიდგომა უნდა იყოს უალტერნატივო და მაუწყებლობის ხერხემალი. თანამედროვე მაუწყებელმა უცილობლად უნდა შეითავსოს საგანმანათლებლო ფუნქციები და ხელი შეუწყოს განათლებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობას. შემეცნებითმა გადაცემებმა ხელი უნდა შეუწყონ ჰუმანური, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდას რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანაში. ჩვენ უნდა ვიყოთ საზოგადოების მედიატორები, შუამავლები უბრალო ადამიანებს შორის, უნდა მომზადდეს ისეთი გადაცემები რომლებიც იქნება ტელე ან რადიო გზავნილი მაყურებლისთვის: მოზარდისგან, პატიმრისგან, მეცნიერისგან, ხელოვანისგან თუ უბრალოდ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანისგან. პროგრამული პრიორიტეტი უნდა იყოს თვითმმართველობა მათის ანგარიშვალდებულება ხალხის მიმართ, ასევე საბავშვო და ინტელექტუალური გადაცემები რომლითაც არასდროს იყო განებივრებული მაუწყებელი.

3. თემატური მრავალფეროვნება

საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა გახდეს ტელევიზია, რომელიც აბსოლუტურად ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესებზე იქნება ორიენტირებული. აუცილებელია მეტი სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება რიგითი მოქალაქეებისთვის. ფინანსური თუ სავალუტო კრიზისების ფონზე ეკონომიკური ასპექტის გაძლიერება უდიდეს მნიშვნელობას იძენს. მოქალაქეებს გასაგები ენით უნდა მიეწოდოს მეტი ეკონომიკური ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში თავისი ნიშა თითოეულ მოქალაქეს დაანახოს. ეკონომიკური კონტექსტის შემოტანით პრობლემების მიზეზებზე საუბარს შევძლებთ, რითაც შევქმნით წინაპირობას, რომ საზოგადოებამ, სხვადასხვა

სოციალურმა ჯგუფებმა არსებული პრობლემები ძირეულად გაიაზროს და გადაჭრას. მსგავსი ინიციატივების სრულფასოვანი ანალიზი, რაც შესაძლებელია კონკრეტულ ადამიანებს პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმაროს, აუცილებლად გახდება საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესის საგანი.

4. საინფორმაციო სამსახური

საზოგადოებრივი მაუწყებლის უმთავრესი ფუნქციაა ადამიანებისთვის ზუსტი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ჩვენ უნდა შევთავაზოთ რომ რაც არ უნდა ტოპ რეიტინგული შემეცნებითი გადაცემები ან თოქ შოები ვაკეთოთ, ტელევიზიის მიმართ ადამიანების დამოკიდებულება, მისი სანდოობა იზომება საინფორმაციო სამსახურის საქმიანობით, იმის მიხედვით მეუბნება თუ არა მე ჩემი დაფინანსებული ტელევიზია სიმართლეს. თუ კი რამით შესაძლოა იამოყოს თანამედროვე ტელევიზიამ პირველ რიგში ეს უნდა იყოს ობიექტური და მძლავრი საინფორმაციო სამსახური. მაუწყებლის საინფორმაციო სამსახური უნდა იყოს სამაგალითო ეთიკის ნორმების დაცვის კუთხითაც. არსებობს მოსაზრება, რომ ზედმიწევნით დაბალანსებული, ეთიკის ნორმების ფარგლებში მოქცეული მაუწყებელი ნაკლებ საინტერესო ხდება მაყურებლისთვის. თუმცა მაუწყებელი უნდა შეეცადოს და დავამკვიდროს სტანდარტი რომელიც ძალიან ხშირად ირღვევა, სიღრმისეულად და მწვავედ წარმოადგინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ისე, რომ არ დაარღვიოს სხვა ადამიანის უფლებები.

5. მულტიმედიური არხების ათვისება

საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იქცეს მულტიმედიურ საინფორმაციო საშუალებად. აუდიტორიასთან ურთიერთობის მრავალფეროვანი არხების ათვისება, არა მარტო ინფორმაციის გავრცელების კუთხით არის მნიშვნელოვანი, არამედ საჯარო დისკუსიების კუთხითაც. ზოგადად, მულტიმედია არხები პროცესში აუდიტორიის უკეთეს ინტეგრაციას განაპირობებს და სულ უფრო და უფრო მეტი სოციალური ჯგუფების ინტერესების წამოწევას. საზოგადოებრივი მაუწყებელი მეტნაკლები წარმატებით მულტიმედია არხების ათვისებას უკვე ცდილობს, თუმცა,

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ტემპის ფონზე, კომუნიკაციის სხვა უსწრაფესი არხების ათვისების გაძლიერება აუცილებელია. რასაც წარმოადგენს ტვიტერი სმარტ აპლიკაცია და სხვა თანამედროვე საშუალებები

6. ვებ-რესურსების ათვისება ორი ფაქტორის გათვალისწინებით არის მნიშვნელოვანი, – ეს შეუზღუდავ დროს და სივრცეს გულისხმობს. დროით განზომილებაში შესაძლებლობა იქმნება, მომხმარებელმა სასურველი პროდუქტი დღის ნებისმიერ მონაკვეთში მიიღოს. რაც შეეხება სივრცით განზომილებას, ვებ-სივრცეში შეუზღუდავი რაოდენობის და ფორმატის პროდუქტის განთავსების შესაძლებლობა გვეძლევა. გარდა ამისა, ეს სივრცე ინტერაქციის მარტივი საშუალებაა, იქმნება შესაძლებლობა, რომ მომხმარებელმა ინიციატივების შეთავაზება თავად მოახდინოს.

7. სოციალური მედია უნდა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი უახლესი მიწოდების არხი. სოციალური მედია არხების ათვისება, საინფორმაციო ბაღეში საზოგადოებრივად აქტიური ჯგუფების ინიციატივების მაქსიმალურ ასახვას და კომუნიკაციის არხების გამარტივებით ნაკლებად აქტიური ჯგუფების დაინტერესებას განაპირობებს. სოციალური მედიის საშუალებით, მიზნობრივი აუდიტორიის იდენტიფიცირება უფრო მარტივად ხდება, შესაბამისად, საინფორმაციო სივრცეში კვალიფიციური დისკუსიის ორგანიზება და შედეგების გადატანა იოლდება.

8. სატელეფონო აპლიკაციის საშუალებით აუდიტორიასთან კომუნიკაცია, LთE ტექნოლოგიების განვითარების და მაღალი ხარისხის მობილური ინტერნეტის შემოტანის ფონზე, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. აქედან გამომდინარე, ძლიერი მობილური აპლიკაციის შექმნა და ამ გზით მომხმარებელთან კომუნიკაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ვები და სოციალური გვერდი უნდა გახდეს მაუწყებლის სავიზიტო ბარათი.

9. პროექტები

1. პროექტი ტელეხიდი დამეგობრებულ ქალაქებთან - გამოცდილების გაზიარება, სიუჯეტების მომზადება და რეპორტაჟების გაცვლა. ეს ხელს უწყობს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, რეგიონის პოპულარიზაციას და განსხვავებულ კულტურათა დიალოგს. ბათუმთან დამეგობრებული ქალაქებია, ბარი იტალია, მარბელლა ესპანეთი, პირეოსი, ბურგასი, სან სებასტიანი ესპანეთი, ნიუ ორლეანი შტატები

2. საეთერო ბადე დაფუძნებული უნდა იყოს დილის შუადღის და საღამოს ეთერებზე, შუალედებში საიფორმაციო და შემოქმედებითი გადაცემები,

3. საუნივერსიტეტო ცხოვრება იმიტირებული სასამართლო პროცესები